პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 ნოემბერი კვირა 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის XII-ე წელი

№ 267 (14567)

## ლენინურ ეკონომიკურ ვარჯიშზე

### შრომითი ნობათები

● **თეთრი წყაროს.** („კომუნისტის“ კორ.). **რაიონის მხვნელ-მთესველებმა გადაჭარბებით შეასრულეს საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა. დათესილია 12.075 ჰექტარი მარცვლეული კულტურები ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12.078 ჰექტარისა.**

● **გეგეჭკორი.** („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მევეხახეებმა წელს ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანეს. მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.012 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.558 ტონისა.

● **მაიაკოვსკის რაიონმა პირობა გაანაღდა.** პირველი ნოემბრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდა 2.478 ცენტნერი ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.330 ცენტნერისა, 6.648 ცენტნერი რძე ნაცვლად 6.580 ცენტნერისა.

### ძვირფასი მადნის [illegible]

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). ლენინურ შრომითს ვახტს დიდი აღმავლობით ეწევა „ქუთაისბარიტის“ მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი, რომელმაც ათ თვეში შეასრულა ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმა.

მაღაროთა სამმართველომ, რომელიც წლის პირველ კვარტალში ზარალით მუშაობაზე იყო დაგეგმილი, მეორე კვარტალიდან, დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ, რენტაბელურად დაიწყო მუშაობა.

ბარიტის მადნის ამოღების, გამდიდრების, დაფქვისა და ფლოტაციის წლიური გეგმები ვადამდე შეასრულეს ფიცაცარის, ღვედისა და ონოეთ-კიროვის მაღაროების, ქუთაისის საფლოტაციო ქარხნის კოლექტივებმა, რომლებსაც ნ. ჯაოშვილი, ს. კეთილაძე, ალ. ბოდოკია და ვ. ცხადაძე უძღვებიან.

მაღაროელები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავზე უპატაკონ ხუთწლედის დავალების შესრულება.

□

### მომავალი წლის ანგარიშში

**მახარაძე.** („კომუნისტის“ კორ.). კარგი მაჩვენებლებით ამთავრებს ხუთწლედის მეოთხე წელს ავტომემკეთებელი ქარხნის კოლექტივი (დირექტორი ვ. ჭანუყვაძე). ავტომემკეთებლებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს.

ავტომემკეთებლებმა ოქტომბრის რევოლუციის 52 წლისთავის ზეიმის წინადღეებში — 5 ნოემბრისათვის ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით გაანაღდეს მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა და ამჟამად 1970 წლის ანგარიშში მუშაობენ.

### მომხვარებელი ქმაყოფილია

**თელავი.** (საკ. კორ.). მაღალხარისხოვანად მუშაობს ლენინურ ვახტზე ხუთწლედის პირველი — თელავის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი (დირექტორი აკ. ზარნაძე), რომელმაც 10 თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 10 ტონა მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი და ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე კიდევ გამოუშვას 20 ტონა პროდუქცია. პროდუქციის რეალიზაციით მიღებულია 24 ათასი მანეთი მოგება.

ფაბრიკა უშვებს უმაღლესი და პირველი ხარისხის პროდუქციას, რომელიც მომხმარებელთა დიდი მოწონებით სარგებლობს.

## პარტიული კრება

### PRAVDA

15 ნოემბრის მოწინავე

პარტიულ ორგანიზაციათა დღევანდელი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნიშანია კომუნისტთა აქტიურობის ზრდა პარტიის პოლიტიკის, მისი გადაწყვეტილებებისა და დირექტივების განხორციელებაში. ეს მათი პოლიტიკური სიმწიფის კონკრეტული გამოვლინებაა და მოწმობს, რომ კომუნისტებს სულ უფრო ღრმად ესმით პირადი პასუხისმგებლობა თავიანთი ორგანიზაციებისა და მთელი პარტიის საქმისათვის, შინაპარტიული დემოკრატიის თანმიმდევრული განვითარებისათვის.

კომუნისტების მაღალი შეგნება, აქტივობა და თვითმოქმედება, ლენინური შეკავშირება, ნებისა და მოქმედების ერთიანობა, მასებთან მტკიცე კავშირი მიაჩნია პარტიას კომუნისტურ მშენებლობაში თავისი ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი როლის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ მთავარ პირობად. ხელმძღვანელობს რა ამით, იგი განუწყვეტლივ ზრუნავს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის, პარტიული ცხოვრების ნორმების ზუსტად დაცვისათვის. ამ პრინციპებმა, ამ ნორმებმა, რომლებიც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა და დაასაბუთა, დროის ყოველმხრივ გამოცდას გაუძლეს და პარტიის ძალისა და სიმტკიცის საფუძველს შეადგენენ.

პარტიულ ორგანიზაციათა მთელ ცხოვრებაზე კეთილნაყოფიერი ზემოქმედება მოახდინეს და ახდენენ სკკპ XXIII ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი. ასრულებს რა ყრილობის მითითებებს, ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელა შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის, ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის. ამ პრინციპულად დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს მიეკუთვნება ამ დღეებში „პრავდაში“ გამოქვეყნებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იაროსლავლის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული კრებების მოწყობის პრაქტიკის შესახებ“.

დადგენილებაში, რომლითაც იხელმძღვანელებს ყველა პარტიული ორგანიზაცია, ხაზგასმულია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვთ პარტიულ კრებებს როგორც კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოებს, კომუნისტთა პოლიტიკური აღზრდისა და წრთობის სკოლებს. იაროსლავლის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მაგალითზე ცენტრალურმა კომიტეტმა განაზოგადა კრებების მოწყობის გამოცდილება, განსაზღვრა პარტიის ცხოვრებაში მათი როლის ამაღლების კონკრეტული ღონისძიებანი. აღნიშნა რა, გარკვეული მუშაობა, რომელიც ამ მიმართულებით იაროსლავლის საქალაქო კომიტეტმა, რაიკომებმა და პირველადმა ორგანიზაციებმა გასწიეს, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ყურადღება მიაპყრო კრებების პრაქტიკაში არსებულ დიდ ნაკლოვანებებს.

რა არის ამ ნაკლოვანებათა არსი? ჯერ ერთი, ხშირად არღვევენ სკკპ წესდებით გათვალისწინებულ კრებების მოწვევის ვადებს, მეორე, კრებებს ზოგჯერ ამზადებენ ცუდად, როგორი კომუნისტების აქტიური მონაწილეობის მიუღებლად, კრებები ეწყობა ნაჩქარევად, ფორმალურად და ჯეროვან გავლენას ვერ ახდენენ პარტიულ ორგანიზაციათა ცხოვრებასა და საქმეებზე. კრებებზე ხშირად განიხილავენ ნაკლებად მნიშვნელოვან, ერთფეროვან საკითხებს, რომლებიც ძირითადად მიმდინარე საწარმოო საქმიანობას შეეხება. ამავე დროს იშვიათად და საკმაოდ ღრმად არ განიხილავენ წარმოების განვითარების, მისი ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლების, ორგანიზატორული მუშაობის გადიდების ბევრ დიდმნიშვნელოვან და საჭიროროტო ამოცანას. კომუნისტების განსახილველად ნაკლებად გამოაქვთ იდეურ-თეორიული საკითხები.

კრებების ქმედითობას ისიც ამცირებს, რომ ყოველთვის როდი ეწყობა აზრთა ფართო, საქმიანი და-პრინციპული ურთიერთგაზიარება, მათი მოწყობის წესი კი ზოგან ზედმეტად რეგლამენტირებულია, ნაცვლად ამისა, რომ ამხანაგური სჯა-ბაასი ჰქონდეს კომუნისტებთან, ზოგიერთ ხელმძღვანელს კრება მიაჩნია ზემოდან კრიტიკისა და მორიგ მითითებათა მიცემის ხელსაყრელ ადგილად. მოხსენებებსა და გამოსვლებში საწარმოთა და დაწესებულებათა საქმიანობის, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ, საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების ფაქტებზე ლაპარაკია მხოლოდ ზოგადად, ბუნდოვნად, ხელმძღვანელთა შეცდომებს კი პარტორგანიზაციის, მთელი კოლექტივის ცუდ მუშაობას მიაწერენ ხოლმე. მთელ რიგ შემთხვევებში ჯეროვანი მომთხოვნელობით არ ეკიდებიან კომუნისტებს პარტიული დისციპლინის, კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის ზუსტად დაცვისათვის.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას აფერხებს ის, რომ პარტიული კომიტეტები, ხელმძღვანელი მუშაკები ზოგჯერ უყურადღებოდ ეკიდებიან კრებების მონაწილეთა შენიშვნებსა და წინადადებებს. ცალკეული ხელმძღვანელები ავადმყოფურად ეხმაურებიან კრიტიკას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქმის ინტერესები მოითხოვს კიდევ უფრო ამაღლდეს პარტიული კრებების როლი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული საქმეების განხორციელებაში. „პარტიული კრება, — აღნიშნულია დადგენილებაში, — მოწოდებულია ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი პარტიის წევრთა და კანდიდატთა, ყველა მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ზრდას. იგი უნდა იყოს ქმედითი საშუალება, რომ დაკრაზმოთ კომუნისტები და უპარტიოები სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებების, პარტიული დირექტივების შესასრულებლად, საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობისათვის, შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის, მასების იდეური აღზრდისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად“.

ყველა პარტიულმა კომიტეტმა, პირველადმა ორგანიზაციამ საჭირო დასკვნები უნდა გამოიტანოს ცენტრალური კომიტეტის ამ გადაწყვეტილებიდან და მათ საფუძველზე პრინციპულად და თვითკრიტიკულად გაუკეთოს ანალიზი კრების მოწყობის პრაქტიკას, მიიღოს ზომები ამ პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კრების შინაარსს, მისი შედეგიანობის გაძლიერებას. კომუნისტთა განსახილველად უნდა გამოვიტანოთ ისეთი საკითხები, რომლებიც აღელვებს კოლექტივს, რომლებსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს.

კრების წარმატება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ზრუნავს პარტიული ორგანიზაცია, რომ განხილვა მიმდინარეობდეს ორგანიზებულად. აზრთა თავისუფალი და საქმიანი ურთიერთგაზიარების, მაღალი პრინციპულობისა და ურთიერთ მოთხოვნელობის ატმოსფეროში. პარტიულმა კომიტეტებმა და ბიუროებმა კრებებზე უნდა უზრუნველყონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა. ყველა პარტორგანიზაციაში უნდა შეიქმნას ისეთი ვითარება, როცა კომუნისტები გაბედულად გამოავლენენ ნაკლოვანებებს და დარწმუნებული იქნებიან, რომ მხარს დაუჭერენ მათს პრინციპულ კრიტიკას, საქმიან წინადადებებს.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კრებები იღებდნენ კონკრეტულ, დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს, ძირეულად აუმჯობესებდნენ მათი შესრულების ორგანიზაციასა და შემოწმებას. ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა, რომ მას შემდეგ, რაც საკითხი განხილულია, უმრავლესობის ნება გარკვეულია და გადაწყვეტილება მიღებულია, პარტიის ყველა წევრი ერთი კაცივით უნდა მოქმედებდეს. პარტიაში არ შეიძლება იყოს დაყოფა გამკრიტიკებლებად და მომუშავეებად. თვითეული კომუნისტი მოვალეა აქტიურად მონაწილეობდეს დასახულის შესრულებაში.

პარტიული კრებების მოწყობის პრაქტიკის შემდგომ გაუმჯობესებას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი პარტიული მუშაობის დონის განუხრელი ამაღლებისათვის, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესრულებაში პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის.

**კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობის შესახვედრად**

## თავმჯდომარის ავტორიტეტი

„ჩვენი შრომა“, ასე ჰქვია გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობას, და მართლაც კოლმეურნეთა შრომის ბარაქით ხარობენ ფლაველები. მათი წინამძღოლი, ენერგიული ახალგაზრდა შ. ეცადაშვილი ამ რამდენიმე წლის წინათ შეუდგა აქ მუშაობას. სოფელი ენდო მას და არც შემცდარა.

დღეს ფლავში ყველა კმაყოფილია გაწეული მუშაობის შედეგებით. კოლმეურნეობის ეკონომიურმა ძლიერებამ შეძლებული, კულტურული ცხოვრება დაუმკვიდრა სოფლის მშრომელებს. ეს კოლმეურნეობა მრავალდარგოვანია. ხეხილის ბაღებს 460 ჰექტარი უჭირავს და ყოველწლიურად ხილის უხვი მოსავალი მოჰყავთ. წელს საშუალოდ ჰექტარზე ხილის მოსავალი 70 ცენტნერს აღწევს. მართო ამ დარგიდან კოლმეურნეობა 170 ათას მანეთ შემოსავალს მიიღებს. დიდად არის განვითარებული მეჭარხლეობა, მეცხოველეობა.

ამ სოფელს ამშვენებს კულტურის ახალი სახლი, საშუალო სკოლა, უნივერსალური მაღაზია, ჯანმრთელობის, კულტურის, საყოფაცხოვრებო მომსახურების კერები, კეთილმოწყობილი გზები. სოფელში შენდება ორი საბავშვო ბაღი, ბაგა, სასტუმრო, კაფე.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა შ. ეცადაშვილმა სოფლის მშრომელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. იგი ამას წინათ საქართველოს კოლმეურნეთა ყრილობაზე კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო III ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

სურათზე: შ. ეცადაშვილი ხეხილის ბაღში.

ფოტო ს. თევზაძისა,
(საქდესის ფოტოქრონიკა).

თურქეთის რესპუბლიკის
პრეზიდენტი
ჯევდეთ სუნაი.

## თურქეთის პრეზიდენტის ჯევდეთ სუნაის საქართველოში ჩამოსვლის გამო

16 ნოემბერს თბილისში ჩამოდის თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯევდეთ სუნაი მეუღლითურთ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

ჯევდეთ სუნაი დაიბადა 1900 წელს ქალაქ ტრაპეზონში (თურქეთი). მიიღო სამხედრო განათლება, მონაწილეობდა თურქი ხალხის 1919-1923 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომში. ინტერვენტებისაგან იზმირის განთავისუფლებაში (1922 წ.) მონაწილეობისათვის დაჯილდოებულ იქნა მედლით „დამოუკიდებლობისათვის“. 1930 წელს დაამთავრა სამხედრო აკადემია. 1959 წელს მიიღო არმიის გენერლის წოდება. 1958-1950 წლებში იყო თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, თურქეთის არმიის სახმელეთო ძალების სარდალი, 1960-1966 წლებში კი გენერალური შტაბის უფროსი.

1966 წლის დამდეგს ჯ. სუნაი გადადგა გენერალური შტაბის უფროსის პოსტიდან, დაინიშნა სენატორად, შემდეგ კი თურქეთის დიდი ეროვნული კრების (პარლამენტის) ორივე პალატის გაერთიანებულმა სხდომამ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია.

პრეზიდენტად ყოფნის დროს ჯევდეთ სუნაი გამოდიოდა პოლიტიკური განცხადებებით, რომლებშიც მხარს უჭერდა მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას თურქეთსა და სსრ კავშირს შორის.

საბჭოთა ადამიანები მიესალმებიან ჯევდეთ სუნაის ვიზიტს, თურქეთის სახელმწიფოს მეთაურის პირველ ვიზიტს ჩვენს ქვეყანაში და გამოთქვამენ რწმენას, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას მეგობრობისა და კეთილმეზობლობის სულისკვეთებით.

## თურქეთის პრეზიდენტი კიევში

**ლენინგრადი,** 15 ნოემბერი. (საკადესის კორ.). თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯევდეთ სუნაი, რომელიც პარასკევს ხელვიზირა ჭალაქის ცხოვრებას ეცნობოდა, დღეს კიევში გაფრინდა.

თურქეთის პრეზიდენტთან ერთად კიევში გაფრინდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. იასნოვი და სხვა საბჭოთა ოფიციალური პირები.

გამგზავრების წინ ჯევდეთ სუნაიმ დაათვალიერა ლენინგრადის მეტროპოლიტენის სადგურები.

**კიევი,** 15 ნოემბერი. (საკადესი). დღეს უკრაინის დედაქალაქი გულთბილად შეხვდა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჯევდეთ სუნაის, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფება ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

თურქეთის, საბჭოთა კავშირისა და უკრაინის სსრ სახელმწიფო ალმებით მორთულ ბორისპოლის აეროპორტში საპატიო სტუმარს შეხვდნენ უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. შჩერბიცკი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ე. კორნეიჩუკი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. ე. სტეცენკო და სხვები, ავრეთვე მშრომელთა წარმომადგენლები.

## საჩუქრად...

### საბჭოთა კავშირს გადაეცა შვეიცარიაში ვ. ი. ლენინის ყოფნასთან დაკავშირებული დოკუმენტები

ვ. ი. ლენინის დაბადების მოახლოებულ 100 წლისთავთან დაკავშირებით შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობამ გადაწყვიტა საბჭოთა კავშირისათვის გადმოეცა შვეიცარიის არქივების მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც ეხება შვეიცარიაში ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდს.

14 ნოემბერს შვეიცარიის ელჩი უან დე შტუცი ეწვია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს და თავისი მთავრობის დავალებით გადასცა აღნიშნული დოკუმენტები. ელჩმა განაცხადა, რომ შვეიცარიის მთავრობა მოხარულია უძღვნას ეს საჩუქარი საბჭოთა კავშირს.

ა. ა. გრომიკომ საბჭოთა მთავრობის სახელით მადლობა გადაუხადა შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობას მეგობრული აჟესათვის — იმ დოკუმენტების მოძებნისა და გადაცემისათვის, რომლებიც ეხება შვეიცარიაში საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

□

### მიფრინავს „კოსმოს - 310“

15 ნოემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-310“. თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელიც განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. (საკადესი).

## ჰიმნი დიდ ქალაქს

„ლენინგრადი-70“ — ასეთია დიდი დოკუმენტური ფილმის სამუშაო სახელწოდება, რომელიც ეკრანებზე გამოვიდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის.

ფილმში შეეხა ინტერვიუ, რომლებიც კინემატოგრაფისტებს მისცეს ქარხნებსა და სამშენებლო მოედნებზე, ამბები სახელგანთქმულ მუშათა დინასტიებზე, საინტერესო ბედის ადამიანებზე. ფილმის მთავარი აზრია: ლენინის იდეები ცოცხლობს და იმარჯვებს.

მაყურებლები ნახავენ ნევის განახლებულ საგუშაგოს, სადაც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი გასული საუკუნის დამლევს ქმნიდა მარქსისტულ მუშათა წრეებს. ეს იქნება თავისებური მოგზაურობა იმ რევოლუციურ მოვლენათა ადგილებში, რომლებიც ფინეთის ვაგზალთან და კშესინსკაიას სასახლესთან, სმოლნასა და ზამთრის სასახლესთან ხდებოდა.

— „ლენინგრადი-70“ ასახავს ახლა სტუდიის თემატურ სახეს, — უთხრა ხაკდესის კორესპონდენტს ლენინგრადის დოკუმენტური ფილმების სტუდიის მთავარმა რედაქტორმა ოლგერ ხანუშევმა. — ამ ფილმის თავისებური ბაგრძელება იქნება კინოფოთხრობა დიდი ოქტომბრის ქალაქში ლენინის იუბილეს დღესასწაულობის შესახებ.

## საგუნდო სიმღერის ფესტივალი

ერევანი. (საკდესი). ერევანში დაიწყო დიდი სიმღერი კომპოზიტორის კომიტასისადმი მიძღვნილი საგუნდო მუსიკის სრულიად საკავშირო ფესტივალი.

ფესტივალში მონაწილეობენ პოპულარული მომღერალთა კოლექტივები — ლენინგრადის აკადემიური კapელა, უკრაინის „ტრემბიტა“, მოლდავეთის „დიონა“, საქართველოს სახელმწიფო კapელა, ტალინის სტუდენტთა გუნდი „ლაულინი“, ავრეთვე სომხეთის საგუნდო კოლექტივები.

□

## ერაკვაკლტრეფიანი გამოცემანი 1970 წელს

**დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის სარედაქციო საბჭომ დაამტკიცა დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ახალი, 30 ტომიანი მესამე გამოცემის პირველი ტომის მაკეტი.**

**რა მოვალეობანი გამოცემებს მიიღებს მკითხველი 1970 წელს?**

როგორც საკდესის კორესპონდენტს აცნობეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტში, დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ახალი გამოცემის გარდა, უნდა განხორციელდეს რუსული ენციკლოპედიათა 120 ტომის გამოშვება. ამ გამოცემათა პირველი ტომები უკვე მომზადებულია დასაბეჭდად ბელორუსიასა და უზბეკეთში, ხოლო ზოგიერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში — უკრაინაში, ლიტვასა და ესტონეთში — ამ სერიის წიგნები უკვე გამოდის.

საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში დიდი მოვლენა გახდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეხუთე, სრული კრებულის გამოცემა. ახლა იგი გამოდის დამატებითი 100 ათასიანი ტირაჟით. მზადდება დასაბეჭდად მრავალტომიანი შრომა, რომელშიც უნდა შეეტიდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი, პარტიული ყრილობების, კონფერენციებისა და პლენუმების მასალები.

უკვე 450 წიგნს შეიცავს მრავალტომიანი სერია „შესანიშნავ ადამიანთა ცხოვრება“, რომელიც ა. მ. გორკემ დაიარსა. 1970 წელს გამოვა ახალი წიგნები. ერთი სამთავანი ისტორიულ-ბიოგრაფიული ალმანახი „პრომეთეოსი“ ეძღვნება ვ. ი. ლენინს. გამოდის ბერეთვე წიგნები ი. მ. სვერდლოვის, აკადემიკოსების ს. პ. კოროლიოვის, ი. პ. პავლოვის შესახებ. გამოვა პუშკინის, ვოლტერისა და სხვა მწერლებისადმი მიძღვნილი გამოცემები.

რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში, ბელორუსიასა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში მომავალ წელს განსახილულია გამოიცეს ბევრი წიგნი.

## ჯილდოები — მოსწავლეებს

**1968 წელს** მოსკოვში მოეწყო პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეთა ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების სრულიად საკავშირო გამოფენა. მაღალი შეფასება დაიმსახურეს საქართველოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა მოსწავლეებმა ნამუშევრებმა. ბევრი მათგანი დაჯილდოდა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სრულიად საკავშირო აღკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სიგელებითა და დიპლომებით.

ამასწინათ მოვიდა ცნობა, რომ სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის სამდივნომ დაჯილდოვა საქართველოს მოსწავლეთა საუკეთესო ნამუშევრები.

თბილისის თოიძის სახელობის № 11 პროფესიულ-ტექნიკური სამხატვრო სასწავლებლის კოლექტივს მიენიჭა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის სამდივნოს ორი დიპლომი გამოფენაზე ექსპონირებული ქართული დეკორატიული კერამიკისა და ჭედური ნაწარმოებებისათვის. სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლე ომარ ქავთარაძე დაჯილდოებულია დიპლომით ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ჭედური პორტრეტისათვის, ხოლო მოსწავლე როინ კამკია დაჯილდოებულია დიპლომით დეკორატიული ჭედური პანოებისათვის „ნადირობა მთებში“ და „მეღვინე“.

თოიძის სახელობის პროფესიულ-ტექნიკური სამხატვრო სასწავლებლის ორი მოსწავლე — ამირან ხუციშვილი და ვიქტორ ჯიბლაშვილი სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის სამდივნომ დაჯილდოვა სიგელებით დეკორატიული პანოებისათვის „ნადირობიდან დაბრუნება“ და „სიკამეკე“.

ამასწინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ჩიხლაძემ სიგელები და დიპლომები გადასცა თბილისის თოიძის სახელობის პროფესიულ-ტექნიკური სამხატვრო სასწავლებლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ი. ქოიავსა და მოსწავლეებს.

გულთბილი მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსმა ა. რახმანოვმა.

(საქდესი).

□

## მეგობრული ვიზიტი

**ჰავანა,** 15 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი იური რომანცოვი გვაცნობინებს:

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, რომელიც ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფება კუბაში, გუშინ შეხვდა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრს ფიდელ კასტროს. მათი შეხვედრა გაიმართა პლანტაციაში ჰავანის მახლობლად, სადაც ფიდელ კასტრო ყოველ დილით ჭრის შაქრის ლერწამს. პრემიერ-მინისტრმა საბჭოთა სტუმარს გააცნო შაქრის ლერწმის გამოყენების შესაძლებლობანი, მისი მოსავლიანობის გადიდების გეგმები და ამისათვის კუბაში მიმდინარე სამუშაოები.

შეხვედრას დაესწრნენ კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი რაულ კასტრო და მისი პირველი მოადგილე ხუან ალმეიდა, სსრ კავშირის ელჩი კუბაში ა. ა. სოლდატოვი და მარშალ ა. ა. გრეჩკოს თანმხლები პირნი კუბაში მოგზაურობის დროს.

გუშინვე სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი გაეცნო კუბაში სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების განხორციელებას. ფიდელ და რაულ კასტროების თანხლებით იგი ეწვია ჰავანის მახლობლად მდებარე საცდელ ბრინჯის მეურნეობას, „ნინია ბონიტას“ მეცხოველეობის ფერმას, „კორდონ დე ლა ჰაბანას“ ყვავილა და ციტრუსების პლანტაციებს და სხვა ობიექტებს.

## სტუმრად საფრანგეთში

**პარიზი,** 15 ნოემბერი. (საკადესი). აქ საფრანგეთის ეროვნული კრების მოწვევით იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ი. ვ. სპირიდონოვის მეთაურობით. დელეგაციამ დაიწყო მოგზაურობა საფრანგეთში პირველად იგი ეწვია ლოტარინგიის ქვანახშირის აუზს.

საღამოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სამხრეთ საფრანგეთში გაფრინდა.

# ჟურნალი დღეს


# ომის საწინააღმდეგო მანიფესტაციები

## მასობრივი გამოსვლები ნიუ-იორკში, ვაშინგტონში

ნიუ-იორკი, 15 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ეგზულიევი გვატყობინებს:

ომის საწინააღმდეგო გამოსვლების ნოემბრის პროგრამის შარავლებში გუშინ ნიუ-იორკში ერთიერთი მთავარი მოვლენა ბაზდა მიტინგი ქალაქის ცენტრალურ პარკში. უზარმაზარ მოედანზე შეიკრიბა რამდენიმე ათასი ქალიმამალი და ჭაბუკი. ზუსტად შუადღისას გაისმა დოლის ცემა. ყველა შეკრებილი მიწაზე დაწვა და გაირინდა, რითაც სიმბოლურად გამოხატა იმ სამხედროფორმიანი თანამემამულეების ბედი, რომლებიც სამხრეთ ვიეტნამში დაიღუპნენ. გაისმის საყვირის გაბმული ხმა. პაერში აიტაცა ათი ათასი შავი ბურთი — ამდენი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა უკვე ნიქსონის მთავრობის დროს ვიეტნამის მიწაზე, რაც პენტაგონის უგუნურ ბრძანებებს ასრულებდა. შემდეგ ამ სამგლოვიარო ცერემონიის მონაწილეები გაიძახოდნენ „მშვიდობა დაუყოვნებლივ".

ომის საწინააღმდეგო დიდი მიტინგი გაიმართა გუშინვე მოედანზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინის მახლობლად. მიტინგში მონაწილეობდნენ ნიუ-იორკის ეკლესიათა-გაზეთების, ქალაქის ტელე-რადიოკომპანიების წარმომადგენლები, მიტინგზე გავრცელებულ ფურცელში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკების მობილიზაციის კომიტეტი მოუწოდებს შეუერთდნენ იმათ, ვინც მოითხოვს დაუყოვნებლივ გამოიყვანონ ამერიკის მთელი ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან.

ქალაქის მეორე ბოლოში — უოლ სტრიტზე — ტრინიტის ეკლესიის საფეხურებზე წაიკითხავთ სამხრეთ ვიეტნამში დასოცილ ამერიკელ ჯარისკაცთა სახელებს. ბინაურ ომს გმობენ თავიანთ კრებებსა და მიტინგებზე მეცნიერები, სტუდენტები, ქალაქის პროფკავშირული, რელიგიური, ქალთა და სხვა ორგანიზაციების [illegible] მონაწილეები. [illegible] ფანდელი. [illegible] ბანერებით შეერთებულ [illegible] ბანერი [illegible] ფანტელ [illegible] ბანერ [illegible] ბანერ [illegible] ბანერ

**სკოლა და ცხოვრება**

# დაუვიწყარი დღეები

### მოსწავლეთა ლენინური მაკრშრუტი

ჩვენი დიადი სამშობლოს უველა კუთხიდან მიდიან ადამიანები ლენინურ ადგილებში, მიდიან, რათა ნახონ რევოლუციის ბელადის სახლი, სკოლა და კაბინეტი, სადაც იგი დაიბადა, აღიზარდა და მოღვაწეობდა.

ამ დღეებში ლენინურ ადგილებში მოგზაურობიდან დაბრუნდნენ თბილისის 47-ე საშუალო სკოლის (დირექტორი თ. ჩიხლაძე) მოსწავლეები. ეს კარგი ღონისძიება განხორციელდა სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის განყოფილების გეგმით, საქართველოს ალკკ კალინინის რაიკომისა და კალინინის რაიონის განათლების განყოფილების მხარდაჭერით.

მოსწავლეებს თან ახლდნენ დირექტორის მოადგილე ო. ბერაძე, სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი ც. სულაძე.

მოგზაურობა მოეწყო მარშრუტით: თბილისი-მოსკოვი-ულიანოვსკი-მოსკოვი-ლენინგრადი-თბილისი.

მოსწავლეებმა მოსკოვში დაათვალიერეს ლენინის მუზეუმი, იყვნენ მავზოლეუმში, შემდეგ მოინახულეს სახლი გორკაში, სადაც უკანასკნელად ცხოვრობდა ლენინი.

გზა ულიანოვსკისაკენ მიდის. აი გამოიკვეთა ქალაქის კონტურები და პორიზონტზე ულიანოვსკი გამოჩნდა. მოსწავლეები განსაკუთრებული ინტერესით აკვირდებოდნენ ყოველ ქუჩას, ყოველ სახლს, უურადღებით კითხულობდნენ მემორიალურ წარწერებს. მათ მოწიწებით გადაბიჯეს იმ სახლის ზღურბლს, სადაც ბელადის აკვანი დაირწა. დაათვალიერეს ლენინის სახელობის გიმნაზიის წყალსაცავი და ულიანოვსკის სამდინარო ვაგზალი.

შუაგულ ქალაქში იქმნება ულიანოვსკის მემორიალური ცენტრი, რომელიც შენდება ჩანაფიქრით—„ლენინიზმის იდეების ზეიმი". მემორიალის მშენებლობაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები. იგრძნობა დიდი ენთუზიაზმი და რწმენა, რომელიც საწყისია ყოველი დიდი გამარჯვებისა.

თბილისელმა მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს მემორიალური ცენტრის მშენებლობაში. პატარა ხელებით მარადმწვანე თუიები დარგეს და გააყოლეს ახლადგაჭრილ ქუჩას.

მოსწავლეები იყვნენ ულიანოვსკის ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენოსან პირველ საშუალო სკოლაში. სკოლაში მოწყობილია ლენინის მუზეუმი. ამ სკოლას პირველი ადგილი უჭირავს ქალაქში აკადემიური წარმატებისა და დისციპლინის მხრივ.

ჩატარდა ქიმიის გაკვეთილი ულიანოვსკელი და თბილისელი მოსწავლეები უპასუხებდნენ ერთმანეთის შეკითხვებზე.

მოეწყო შეხვედრა მეათე კლასელებთან. შემდეგ მასპინძლებისა და სტუმრების ძალებით გაიმართა კონცერტი. ულიანოვსკელების თხოვნით თბილისელებმა შეასრულეს სიმღერები — „სულიკო" და „სიმღერა თბილისზე".

დათვალიერეს საკლასო ოთახი. სადაც სწავლობდა ლენინი. ამ სკოლაში კარგი ტრადიცია აქვთ. პირველკლასელები ამ საკლასო ოთახში იხმენენ პირველ გაკვეთილს და ამით პირველ ნაბიჯს დგამენ ცხოვრებაში.

მოსწავლეებმა კინოფიტრზე ადევნეს საინტერესო ადგილები და მეგობართა სახეები.

ისევ მოსკოვი.

სადამოობის მატარებელი ლენინგრადისაკენ დაიძრა. თხელ ნისლში ჯერ მოჩნდა ისაკის ტაძრის ქონგურები, ეიფელის ტაძარი პეტრე პირველის ძეგლი, ერმიტაჟი, რევოლუციის აკვანი [illegible] ლნი.

მოსწავლეებმა ჩაიარეს ნევის პროსპექტი [illegible] ხეს კრეისერ [illegible] იყვნენ ერაზლიში. წყალზე ისევ ერწეოდა ნავი...

კვლავ მშობლიურ თბილისში.

მდიდარი შთაბეჭდილებებით დაუბრუნდნენ მშობლიურ სკოლას მოსწავლეები.

საუკარელი ბელადის საუკეთესო ადგილებს მიეძღვნა ეს სკოლები. ულიანოვსკი — ლენინის ორდენოსან მასწავლებელ [illegible] [illegible] [illegible]

# საქართველოს ქთა და ბარეთ

## შეხვედრა ნოვატორებთან

ქედის კულტურის სახლში მოეწყო შეხვედრა რაიონის ნოვატორ მეთამბაქოეებთან. ლ. ჩხობაძის, ლ. შარაძის, ე. კონცელიძის, მ. ნიჟარაძის შრომითის საქმიანობაზე ილაპარაკა რაიონის ხოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა შ. მგელაძემ. დამსწრეებს თაგის გამოცდილებაზე ესაუბრა სოფელ ვეაშტის მოწინავე მეთამბაქოე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. კონცელიძე. დასასრულ ქედის კულტურის სახლის აგიტმხატვრულმა კოლექტივმა გამართა კონცერტი.

ნ. ავალიანი.

## მეედიკთა სამეცნიერო სესიები

ტყიბული. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა გამსვლელი სამეცნიერო სესიები გამართეს ტყიბულში.

მოხსენებები წაიკითხეს ინსტიტუტების მეცნიერმა თანამშრომლებმა. ამასთან მომხსენებლებმა პრაქტიკულად უჩვენეს საინტერესო სამედიცინო შემთხვევების მკურნალობაში დანერგული სიახლენი. სესიის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე ტყიბულში, ჭიათურაში, ზესტაფონსა და კასპში მომუშავე ექიმების გამოსვლები.

სესიების მუშაობა შეაჯამეს მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა გ. ფავლენიშვილმა და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა რ. მანჯგალაძემ.

## ეშვენებელთა საკეთილდღეოდ

**საჩხერე.** (საკ. კორ.). მდინარე ჩიხურის ხეობაში კურორტ კვერეთის მახლობლად მწყობრში ჩადგა ჭიათურელ მშენებელთა სამკურნალო-დასასვენებელი პროფილაქტორიუმი. აქ ერთდროულად ასამდე მშენებელი ისვენებს.

როცა ხარაჩოებზე შრომა შეწყდება, იქ ჩამოდგება ავტობუსი, რომელსაც მშენებლები პროფილაქტორიუმში მიჰყავს. მშენებლები იღებენ აბაზანებს, უზრუნველყოფილი არიან კვებით, სამედიცინო მომსახურებით, კულტურული გართობით. დილით მშენებლები ავტობუსითვე ხარაჩოებს უბრუნდებიან.

**სურათზე:** პროფილაქტორიუმის შენობა. მის ერთ კედელზე გამოსახულია მოზაიკა — ნადირობის ქალ-ღმერთი, რომელიც ზღვის კენჭებით შეასრულა ჭიათურელმა ახალგაზრდა მხატვარმა ო. ცერცვაძემ.

**სურათზე:** პროფილაქტორიუმის ერთი კედელი.

ფოტო ბ. ცოციაშვილისა.

# შემოდგომა პარკში

**შემოდგომაა** ვაკის პარკში, ბაღრისა და ცაცხვის ხეებს თანდათან ცვივა ყვითელი ფოთლები, ნარნარად ეფინებიან დანამულ მიწაზე, მერე კი ცივი ქარი ხან ერთ მხარეს მოუყრის თავს, ხან ორგვლივ მიმოფანტავს...

შემოდგომაა ვაკის პარკში... თბილისელები კი მაინც ვერ ტოვებენ მას.

პარკის დირექტორი (დირექტორი ვალ. ხოფერია) ყოველნაირად ცდილობს, რაც შეიძლება გახანგრძლივდეს „ზაფხულის" სეზონი, კვლავ სასიამოვნო და სასიხარულო იყოს მშრომელებისათვის პარკში შემოსვლა, შემოდგომის ჭირეული ამინდების მიუხედავად დამსვენებლებისათვის შექმნას ისეთი პირობები, რომ მიიზიდოს, დაასვენოს და გაართოს.

არ ივიწყებენ მომავალ სეზონსაც. გაჩაღებულია მუშაობა პარკის წყალგარდნილის მშენებლობის დასამთავრებლად, წარმოებს მისი მოპირკეთება. გადაწყვეტილი აქვთ გააშენონ ახალი მარად მწვანე ბორდიურები. დათესილია 50 კილოგრამი ასკილის თესლი. შემდეგში მასზე კულტურული ჯიშების ვარდებს დაამყნიან. ხალჩიკიდან უკვე მიღებულია 5.000 სხვადასხვა ჯიშის ვარდის ნერგი. გუშინ დაიწყეს 6 ათასი ცალი ჯიშიანი ყვავილების ტუბერების რგვა, გაისად კი გაშენებენ სხვადასხვა, მიმზიდველი ფორმის საყვავილე ნაკვეთებს. ფალიაშვილის ქუჩის მხარეს პარკის გაყოლებით გაშენდება ძეწნის ხეივანი.

განსაკუთრებული მზადება იგრძნობა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესათვის. პარკში „თბილქალაქგფორმშემამ" უკვე დადგა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი საგამოფენო სტენდი.

იუბილემდე კი ახალგაზრდა მუშაკთა საკავშირო დათვალიერება მოეწყობა, ეს კონკურსი 3 დეკემბერს დაიწყება მოსკოვში. კულტმასობრივი წრის სამხატვრო ხელმძღვანელის ვ. მელაშვილის სცენარით (მხატვარი კ. ჯანელიძე) პარკი მოსკოვში ათასობით მაყურებლის წინაშე წარსდგება.

ც. ჟორიკაძე.

## უნგრეთი თუ ჩეხოსლოვაკია?

მსოფლიოს პირველობის შესარჩევი შეხვედრები ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება, მაგრამ ჯერ კიდევ ყველა ფინალისტი როდია ცნობილი. ზოგიერთ ჯგუფში მეხიკოს საგზურის საკითხი უნდა გადაწყვიტოს დამატებითმა შესვედრამ. მეორე ჯგუფში, მაგალითად, ფინალში ჯასვლის პრეტენდენტები არიან უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. ორივე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციები შეთანხმდნენ, რომ დამატებითი ასპარეზობა მოეწყოს მარსელში 3 დეკემბერს.

# ამარჯვებულნი...

### ახალგაზრდა კომპოზიტორთა შემოქმედების სრულიად საკავშირო დათვალიერება-კონკურსის შედეგები

**დამთავრდა** სსრ კავშირის ახალგაზრდა კომპოზიტორთა შემოქმედების მესამე სრულიად საკავშირო დათვალიერება-კონკურსი. ამ დიდი შემოქმედებითი შეჯიბრების მეორე ტურში მონაწილეობდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის 170 ავტორი, მათ შორის შვიდი — საქართველოდან. მესამე ტურის შემდეგ კონკურსის ჟიურიმ სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური პრემიის ლაურეატის გ. სვირიდოვის თავმჯდომარეობით პირველი, მეორე და მესამე პრემიები მიანიჭა 25 ავტორს. მეორე ხარისხის პრემია მიიღო რუსთაველის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგმა, თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებულმა ტ. ბაკურაძემ (სსრ კავშირის სახალხო არტისტის ა. ბალანივაძის კლასი). ეს ქართველოს კომპოზიტორი ჯილდო მან დაიმსახურა კანტატისათვის რუსთაველის ტექსტზე.

დათვალიერება-კონკურსის წასახალისებელი დიპლომებით დაჯილდოვდნენ კომპოზიტორი ლ. შავერზაშვილი ეოკალური ციკლისათვის „ვაჟა ფშაველას ლექსებზე" და საქართველოს კამერული ორკესტრის სოლისტი კომპოზიტორი ე. სანაძე — კანტატისათვის „მზე და ვარსკვლავები" ვაჟა ფშაველას ტექსტზე.

ჟიურის წევრმა, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მეორე მდივანმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ო. გორდელმა უთხრა საქდესის კორესპონდენტს:

— წლევანდელი დათვალიერება-კონკურსი ძალიან რთული იყო. მოსასმენად წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები — სიმფონიური ორატორიებამდე. ამ კონკურსმა ჩვენ, საქართველოს წარმომადგენლები დაგვაფიქრა. წინა დათვალიერებებთან შედარებით ნაკლები ნაწარმოებები წარგვიდგინეთ და ისიც არასაკმაოდ მკაფიო. ამას წინათ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში შეიქმნა ახალგაზრდობის სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. ნასიძე. ამ სექციაში გაერთიანებულ იარიან ახალგაზრდა ავტორები, რომლებიც დრო და დრო გვაცნობენ თავიანთ ნაწარმოებებს. ჩვენ მათ მეტი უურადღება უნდა დავუთმოთ, აქტიურად ვიმუშაოთ მათთან, რომ პირნათლად შეეასრულოთ ახალგაზრდა კომპოზიტორთა წინაშე დასახული ამოცანები. (საქდესი).

# დღეს „ალი სამი ენის" სტადიონზე

**დღეს** სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებს სტამბოლში „ალი სამი ენის" სტადიონზე მსოფლიოს პირველობის უკანასკნელი შესარჩევი შეხვედრა აქვს თურქეთის გუნდთან.

ამ მატჩისათვის, რომლის შედეგს მახპინძლებისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს და ითვლება პრესტიჟის შეხვედრად, თურქეთის ნაკრები ენერგიულად ემზადება. ეს გუნდი 10 ნოემბრიდან შეკრებაზე იმყოფებოდა და ყოველდღიურ ვარჯიშს გადიოდა. სტადიონი, სადაც მატჩი გაიმართება, 45.000 მაყურებელს იტევს. მოედანი ჩინებულია.

თურქეთის ნაკრების მწვრთნელმა ა. გეგიჩმა რამდენიმე დღით ადრე გამოაცხადა თავისი გუნდის შემადგენლობა. იქ 16 ფეხბურთელის გარდა, რომლებიც მწვრთნელს კიევში ჰყავდა, ნაკრებში შეყვანილია 5 ახალი მოთამაშე.

ა. გეგიჩმა განაცხადა, რომ საბჭოთა ნაკრები ფორმაში შევდა. ეს ის გუნდია, რომელსაც შესარჩევ მატჩებში არც ერთი ბურთი არ მიუღია საკუთარ კარში, რაც დაცვის კარგ თამაშზე მეტყველებს. მართალია, საბჭოთა ნაკრებს ვარსკვლავები არა ჰყავს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამაშია მისი უპირატესობა. ყველა თამაშობს დამჯერებლად, თანაბრად. ფეხბურთელები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული. ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოთა ნაკრებს არ ჰქონდეს ნაკლოვანებები, მაგრამ სისტემატური მეცადინეობით ამ ხარვეზების შევსება შესაძლებელია. პირადად მე მომაჩნია, რომ საბჭოთა გუნდი მეხიკოს საგზურს მოიპოვებს.

სტამბოლის მატჩში საბჭოთა ნაკრებისათვის ფრიც საკმარისია, რომ არაფერი ვთქვათ მოგებაზე, რაც შეეხება უკიდურეს შედეგს — წაგებას, ასეთ შემთხვევაში საჭირო იქნება დამატებითი მატჩი ნეიტრალურ მოედანზე ჩრდილოეთ ირლანდიელებთან.

დავუცადოთ თვით მატჩს. საკავშირო რადიო ამ მატჩის პირველი ტაიმის რეპორტაჟს გადასცემს „მაიაკის" პროგრამით 15 საათსა და 30 წუთიდან მოსკოვის დროით, მეორე ტაიმი კი გადაცემულ იქნება პირველი პროგრამით.

# ტურნე საზღვარგარეთ

**ჩვენი** ქვეყნის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა კოლექტივებმა ფაქტიურად დაამთავრეს საკავშირო მნიშვნელობის ასპარეზობები, დაიწყო ამ გუნდების ტურნე საზღვარგარეთ.

14 ნოემბერს ზამბიაში, უგანდასა და ეთიოპიაში საერთაშორისო შეხვედრების გასამართავად გაემგზავრა ლენინგრადის „ზენიტი". ლენინგრადელ ფეხბურთელებს ამ ქვეყნებში მატჩები ექნებათ ადგილობრივ ნაკრებ გუნდებთან.

გუშინ კი დონის როსტოვის სკა-მ კურსი აიღო ბრაზავილისა და კინშასის კონგოელებისაკენ. ორივე ქვეყანაში იგი რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრას მოაწყობს.

საფრანგეთში სტუმრად იმყოფება სსრ კავშირის თასის მფლობელი — ლვოვის „კარპატი". პირველი შეხვედრა ლვოველებს ჰქონდათ დიუნკერკში ადგილობრივ გუნდთან და გაიმარჯვეს 2:0.

ამ დღეებში მოსკოვის „ტორპედო" ეწევა იტალიას და იქ შეხვდება მუშათა პროფკავშირულ საკლუბო გუნდს. რსფსრ-ის ნაკრები კი მიემგზავრება სენეგალში, გვინეასა და მალიში.

## ოლიმპიური ჯიგრი

## ოლიმპიური ჯიგრი

## ოლიმპიური ჯიგრი